ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1189831

ნომერი: AR1206706

თარიღი : 25.03.2014

გაცემის თარიღი : 26.03.2014

გაცნობის თარიღი : 26.03.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თბილისიდან კოჯრისაკენ მიმავალი , გზის მიმდებარედ (ნაკვ. 05/001) ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , (ნაკვ. 07/010) ; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 6 ; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 4 ; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 2 ; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 1 ; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა N2 ; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 1ბ ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , ბიზნესცენტრის მიმდებარე ტერიტორია/ ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა N3 / ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი , გზატკეცილი N1 ; ქალაქი თბილისი , ხეივანი სოლოლაკი , (ნაკვ. 94/10) ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N 13 / ქალაქი თბილისი , კოჯრის გზატკეცილი, სტელა "თბილისი"-ს მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N13-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/004)/ ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N13-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 05/005);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვეფხვია დვალი პ/ნ 38001004585
- საჩხერე ს. საირხე

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1206706 განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში მთაწმინდის რაიონში, კოჯრისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ მრავალფუნქციური კომპლექსის დასაგეგმარებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას გაცნობებთ შემდეგს: საპროექტო არეალის მასშტაბის, ადგილმდებარეობისა და საპროექტო მოცულობის სახეობიდან გამომდინარე, სამსახურის პოზიციით, საკითხის განხილვა უნდა განხორციელდეს ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამუშავებით. ამისთვის საჭიროა შესაბამის ნომენკლატურაში (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები > განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება) დაარეგისტრიროთ ახალი განაცხადი და ატვირთოთ მოთხოვნის შესაბამისი დოკუმენტაცია.

დღევანდელი მდგომარეობით მონიშნული საპროექტო არეალი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მოქცეულია 4 ფუნქციურ ზონაში: ლანდშაფტურ–სარეკრეაციო ზონა (ლსზ)–ში; სარეკრეაციო ზონა 3 (რზ–3)–ში; საცხოვრებელ ზონა 2 (სზ–2)–ში და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1)–ში, რომელთა თანახმადაც მოთხოვნილი ფუნქციური სახეობის განთავსება ვერ განხორციელდება. ასევე, განაცხადზე ატვირთული საკადასტრო ერთეულები ვერ ავსებენ საპროექტო ესკიზით ათვისებული ტერიტორიის სრულ არეალს.

აქვე მოგახსენებთ, რომ თუ საპროექტო ტერიტორიის ნაწილი შევა კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში. “კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” საქართველოს კანონის 41-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებში განხორციელებული ცვლილების თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქთმშენებლობით დოკუმენტაციას ამტკიცებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო სამინისტროსთან შეთანხმებით.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ დაგეგმილი მშენებლობის განხორციელება იგეგმება იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით აქტიურად გამწვანებულია მრავალწლოვანი წიწვოვანი ხე–ნარგავებით და წარმოადგენს ქალაქის თვითმყოფად ლანდშაფტს, მის მნიშვნელოვან ისტორიულ ხედს. აქედან გამომდინარე, განაშენიანების რეგულირების გეგმის გემარებითი დავალების მოხსენებითი ბარათი და საპროექტო წინადადება უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას აღნიშნული რელიაფისა და ხე–ნარგავების გადარგვის, მოჭრისა, თუ მათი შენარჩუნების შესახებ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.